



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 91

2011 წლის 15 ივლისი
ქალაქი ხაშური

სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის 2011 წლის 13 ივლისის #966 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე:

1. ქ. თბილისში მიმდინარე წლის 16 ივლისს ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ „არტგენში“, რომლის ჩატარებამდე რჩება 3 დღე, მონაწილეობს ქორეოგრაფიული ანსამბლი „ოქროს ფარი“. იმის გათვალისწინებით, რომ ღონისძიებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა დაუყოვნებლივ განსახორციელებელია, განხორციელდეს სამგზავრო ტრანსპორტის (2 მიკროავტობუსი) მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე